საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების მქონე მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *ეკა ზარნაძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	16	20
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	17	20
წერის უნარი	17	20
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5
პროფესიული აქტივობები	5	5
ქულათა ჯამი	89	100

სახელი, გვარი: ზაზა ხარებავა

თარიღი: 27.05.2021 წ.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

ზაზა ხარებავა

ეკა ზარნაძის შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის ეკა ზარნაძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 34^1 მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით, რომლის მიხედვით: ,,საბჭოს წევრები, ამ კანონის 36^3 მუხლის გათვალისწინებით, სამოსამართლო გამოცდილების არმქონე კანდიდატს აფასებენ ქულებით ამ კანონის 35^1 მუხლის მე-16 პუნქტის შესაბამისად, ხოლო სამოსამართლო გამოცდილების მქონე კანდიდატს – ქულებით ამ კანონის 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის შესაბამისად. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრები კანდიდატებს აფასებენ აგრეთვე ამ კანონის 35^1 მუხლის მე-15 პუნქტის შესაბამისად. ამასთანავე, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს ყოველი წევრი კანდიდატის შეფასებისას წერილობით ასაბუთებს ამ კანონის 35^1 მუხლის მე-16 პუნქტით, 36^4 მუხლის მე-8 პუნქტით გათვალისწინებულ თითოეულ ქულას და ამ კანონის 36^3 მუხლით გათვალისწინებულ კეთილსინდისიერების კრიტერიუმის თითოეულ მახასიათებელს. აღნიშნულ შეფასებებსა და დასაბუთებებში მიეთითება საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი წევრის სახელი, გვარი და ხელმოწერა"

,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის შესაბამისად კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის მიხედვით:

1. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებია:
ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია;
ე) ფინანსური ვალდებულება.

2. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებია:
ა) სამართლის ნორმების ცოდნა;
ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
გ) წერის უნარი;

დ) ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
ე) პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში;
ვ) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
ზ) პროფესიული აქტივობა.

ხოლო ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის 35[1] მუხლის შესაბამისად კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის მიხედვით:

3. კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლებია:
ა) პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი;
ბ) დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა;
გ) პიროვნული და პროფესიული ქცევა;
დ) პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია.

4. კომპეტენტურობის კრიტერიუმის მახასიათებლებია:
ა) სამართლის ნორმების ცოდნა;
ბ) სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია;
გ) წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი;
დ) პროფესიული თვისებები;
ე) აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა;
ვ) პროფესიული აქტივობა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ,,საერთო სასამართლოების შესახებ'' საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე, განვახორციელე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის თაობაზე დადგენილი წესით მოძიებული ინფორმაციის შესწავლა, ორგანული კანონით განსაზღვრული თითოეული კრიტერიუმის მახასიათებლების მიხედვით შეფასება და შესაბამისი დასაბუთება.

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით		დასაბუთება
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისთვის წარსადგენ კანდიდატ ეკა ზარნაძის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასებისას დავეყრდენი ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის საფუძველზე მასზე მოძიებულ და აგრეთვე კანდიდატთან გამართულ საჯარო გასაუბრებით მიღებულ ინფორმაციას.
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐	**1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:**
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒	კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილ რეკომენდაციებსა და კითხვარებში, კანდიდატთან საქმიან ურთიერთობაში მყოფი პირები, კანდიდატს პატიოსან, კეთილსინდისიერ პიროვნებად ახასიათებენ. კანდიდატზე მოძიებული მასალების გაცნობისა და მისი საჯარო მოსმენის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ იგი, პატიოსანი მოსამართლე და მოქალაქეა, გააჩნია თავისი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის ადეკვატური შეგნება, სიმართლისმოყვარეა, საკმაოდ ღიად და გამჭვირვალედ აფიქსირებს თავის მოსაზრებებს. კანდიდატი კეთილსინდისიერად და ჯეროვანი სიზუსტით ასრულებს სამსახურეობრივ და სამოქალაქო ვალდებულებებს, რაც მისი ფინანსური ვალდებულებებისა და ქონებრივი მდგომარეობის ამსახველი დეკლარაციის გაცნობისას ჩანს, კერძოდ: მოსამართლეს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. არ აქვს მიმდინარე სესხი და აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. მოძიებული მასალით ფიქსირდება საგზაო მოძრაობის წესების დარღვევის რამდენიმე ფაქტი, თუმცა კანდიდატს სრულად და დროულად აქვს გადახდილი დადგენილი ჯარიმები. მივიჩნევ, რომ კანდიდატი ეკა ზარნაძე სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36[3] მუხლის პირველი პუნქტის ,,ა" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. **2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა:**

		საჯარო მოსმენის პროცესში კანდიდატმა მის მიმართ დასმული საკითხების ირგვლივ განავითარა დამოუკიდებელ ანალიზსა და შესაბამის ობიექტურ არგუმენტაციაზე დაფუძნებული მსჯელობა. ასევე რეკომენდატორები უთითებენ, რომ კანდიდატი გამოირჩევა პრინციპულობით, სამართლიანობით, დამოუკიდებლობით. ეკა ზარნაძე არ ყოფილა არცერთი პოლიტიკური პარტიის წევრი/მხარდამჭერი, ან შემომწირველი. მივიჩნევ, რომ კანდიდატი დამოუკიდებელია სამოსამართლო ვალდებულებების შესრულებისას, სამოსამართლო ფუნქციებს ასრულებს ჯეროვნად, არის პრინციპული, ჩანს პიროვნული სიმყარე და შეუვალობა. აგრეთვე იკვეთება, რომ იგი თავისუფალია ყოველგვარი პოლიტიკური მიკერძოებისაგან თუ რაიმე სხვა ნიშნით განსხვავებული მიდგომებისაგან. იკვეთება მისი დამოუკიდებლობა საზოგადოებრივი და პოლიტიკური გავლენებისგან, რაც აძლევს შესაძლებლობას დამოუკიდებლად მიიღოს გადაწყვეტილება და იყოს ზეგავლენის მიმართ მედეგი. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ეკა ზარნაძე სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-4 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. **3. პიროვნული და პროფესიული ქცევა:** რეკომენდატორებიც კანდიდატს გაწონასწორებულ, დინჯ, ტაქტიან პიროვნებად ახასიათებენ. ერთ-ერთი რეკომენდატორი უთითებს, რომ მოსამართლე კორექტულია შენიშვნის მიცემისას და საწინააღმდეგო აზრის გამოთქმის დროსაც. კანდიდატის თაობაზე მოძიებული მასალებით დგინდება, რომ ე. ზარნაძის მიმართ დისციპლინური დევნა დაიწყო დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მომზადებული დასკვნის საფუძველზე ერთ საქმეზე: მოსამართლეს ჩამოერთვა ახსნა-განმარტება, ხოლო საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 2018 წლის 16 ივლისის გადაწყვეტილებით შეწყდა დისციპლინური დევნა. კანდიდატი სასამართლოში მხარედ/დაზარალებულად წარმოდგენილი არ ყოფილა. მის მიმართ არც სისხლისამართლებრივი დევნა განხორციელებულა.

		საჯარო მოსმენისა და მოძიებული მასალების გაცნობის შედეგად დასტურდება, რომ კანდიდატი თავდაჭერილი, ზრდილობიანი, კორექტულია. კანდიდატი იცავს სამოსამართლო ეთიკას, არის კორექტული კოლეგებთან თუ სხვა პირებთან ურთიერთობისას, სათანადოდ მართავს თავის ემოციებს, მისი ქცევა და იმიჯი შესაბამისობაშია მოსამართლის მაღალ წოდებასთან. მივიჩნევ, რომ კანდიდატი ეკა ზარნაძე სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-5 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. **4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია:** კანდიდატის შესახებ რეკომენდაციებისა და კითხვარების ფორმების, მასზე მოძიებული ინფორმაციის გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სარგებლობს შრომისმოყვარე, სამართლიანი, მაღალი პროფესიული კომპეტენციისა და დადებითი რეპუტაციის მქონე პიროვნებისა და მოსამართლის სახელით. რეკომენდატორები ასევე უთითებენ, რომ კანდიდატი გამოირჩევა თავდაჭერილობით, კორექტულობით, ეთიკური ქცევით. რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებს კანდიდატის ნაკლოვანებებისა და სუსტი მხარეების შესახებ არ მიუთითებიათ. ინტერნეტ სივრცეში გამოქვეყნდა ინფორმაცია მისი მოსამართლედ განწესების თაობაზე. აღსანიშნავია, რომ მოსამართლის, როგორც დადებითი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციის მქონე პიროვნების მიმართ ჩამოყალიბებული აზრის საწინააღმდეგო რაიმე დადგენილი ფაქტი, ან ობიექტური გარემოება არ გამოვლენილა. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ეკა ზარნაძე სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-6 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. **5. ფინანსური ვალდებულება:**

			კანდიდატზე მოძიებული ინფორმაციის გაცნობიდან ირკვევა, რომ თანამდებობის პირთა ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციაში ასახულია მონაცემები კანდიდატის საკუთრებაში არსებული მოძრავი ქონების შესახებ, ასევე საბანკო დაწესებულებაში არსებული ანგარიშისა და შენატანების თაობაზე. კანდიდატს არ აქვს მიმდინარე სესხი, აქვს დადებითი საკრედიტო ისტორია. კანდიდატს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება, მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებული არ არის. მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით მიმაჩნია, რომ კანდიდატის ქონებრივი ინტერესების მართლმსაჯულების ინტერესებთან დაპირისპირების საფუძველი არ იკვეთება, რასაც შესაძლოა საფრთხე შეექმნა მოსამართლის მიუკერძოებლობისადმი. მივიჩნევ, რომ კანდიდატი ეკა ზარნაძე სრულად აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36³ მუხლის პირველი პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-7 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს. ამდენად, კანდიდატთან გასაუბრების პროცესში და არც მასზე მოძიებული მასალებში არ გამოვლენილა რაიმე ისეთი გარემოება, რაც ეჭვქვეშ დააყენებდა მის პიროვნულ კეთილსინდისიერებასა და პროფესიულ სინდისს. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მახასიათებლების ანალიზისა და შეჯერების შედეგად, მიმაჩნია, რომ ეკა ზარნაძე სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით			**დასაბუთება**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	**16**	**20**	კანდიდატის სამართლებრივი ნორმების ცოდნის შეფასებისას ვიხელმძღვანელე უშუალოდ კანდიდატთან გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით, მის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებებისა და სამართლებრივი პუბლიკაციების

			გაცნობით. კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ საქმეებზე მიღებული ორი სასამართლოს გადაწყვეტილება და ორი სამართლებრივი სტატია. სასამართლო გადაწყვეტილება: -თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილება, საქმე N2/-16 (დავის საგანი - მშობლად აღიარება); -თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 19 ივლისის გადაწყვეტილება, საქმე N2/21127-15 (დავის საგანი - არასრულწლოვანის საცხოვრებელი ადგილის განსაზღვრა, მშობლის უფლების შეზღუდვა). სამართლებრივი პუბლიკაციები: -არასრულწლოვანთა უფლებების ჰარმონიზაცია ევროპულ სტანდარტებთან: საქართველოს სამოქალაქო კოდექსის სრულყოფის პერსპექტივები. -„ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელობის ინსტიტუტის ნორმათა უნიფიცირება და ჟენევის კონვენცია ფასიანი ქაღალდების შესახებ“, ბესარიონ ზოიძე 60 - საიუბილეო კრებული/ რედ. ლადო ჭანტურია, ირაკლი ბურდული; თბილისი, 2014 წ. კანდიდატის საჯარო მოსმენის შეფასების შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ მოსამართლემ ძირითადად გამოავლინა ეროვნული კანონმდებლობის, ადამიანის უფლებათა სამართლის, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ცოდნის მაღალი დონე. ვლინდება, რომ კანდიდატის ძლიერ მხარეს წარმოადგენს საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართლის სიღრმისეული ცოდნა. გარდა ამისა კანდიდატმა საკმაოდ ვრცლად ისაუბრა გამოხატვის თავისუფლების ასპექტზე, ევროპული სასამართლოს პრაქტიკაზე, მოსამართლის გამოხატვის თავისუფლების ფარგლებზე. იმსჯელა დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების სპეციფიკაზე. საინტერესო და არგუმენტირებული მსჯელობა განავითარა რელიგიური ქორწინების, როგორც იურიდიული ძალის მქონე აქტის სამართლებრივ ბუნებაზე, მათ შორის დისკრიმინაციულ ჭრილში და გამოკვეთა ამ საკითხის სიღრმისეული ანალიზის საჭიროება. ასევე, არგუმენტირებულად იმსჯელა შეჯიბრებითი პროცესის ფარგლებში მოსამართლის მიერ ინკვიზიციური ელემენტების გამოყენების შესაძლებლობასა და ვალდებულებაზეც. ასევე, მსჯელობაში მოიყვანა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოსა და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს სხვადასხვა

			გადაწყვეტილებები და სხვა. თუმცა დასახელებულ ზოგიერთ საკითხზე ფართო ჭრილში მსჯელობის მცდელობისას შეიმჩნეოდა დაკონკრეტებული პასუხისაგან გადახვევა. ამასთან მივიჩნევ, კანდიდატმა ნაკლებად სწორი სამართლებრივი დასაბუთებულობით და დამაჯერებლობით იმსჯელა მაგალითად: პირის გამოხატვის რეალიზაციისას სხვა პირის ღირსების შელახვის შესაძლებლობაზე, ასევე განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისთვის მსჯავრდებულ პირთა არჩევნებსა და რეფერენდუმში მონაწილეობის უფლების შეზღუდვის შესაძლო ლეგიტიმურ მიზნებზე, რა დროსაც მიუთითა დასახელებული საკითხის სიღრმისეულ კვლევის საჭიროებაზე და სხვა. საჯარო მოსმენის შედეგად დგინდება, რომ კანდიდატი რეგულარულად ეცნობა საკანონმდებლო ცვლილებებს, სამართლის მეცნიერულ სიახლეებს, ეროვნულ და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკას. კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა. იგი არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოქმედი მოსამართლე. კანდიდატმა წარმოადგინა მის მიერ განხილულ საქმეზე მიღებული ორი გადაწყვეტილება და ორი სამართლებრივი სტატია. გადაწყვეტილებების გაცნობის შემდეგ შემიძლია დავასკვნა, რომ სამართლის ნორმები სწორად არის გამოყენებული და განმარტებული. სამართლებრივ პუბლიკაციაში მართებულად არის მსჯელობა აგებული, წარმოჩენილია პრობლემატური საკითხებიც და დასკვნაც სამართლებრივად სწორი დასაბუთებით არის ჩამოყალიბებული. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ეკა ზარნაძე აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მეორე პუნქტის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-8 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ „სამართლის ნორმების ცოდნის“ კრიტერიუმში ეკა ზარნაძე უნდა შეფასდეს 16 (თექვსმეტი) ქულით.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და	**17**	**20**	კანდიდატის სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატის გასაუბრების

კომპეტენცია			პროცესზე დაკვირვებით, კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებებისა და სამართლებრივი პუბლიკაციების გაცნობისა და მისი პროფესიული გამოცდილების შეფასებებით. საჯარო მოსმენის დროს კანდიდატმა ძირითადად გამოავლინა საკითხზე არგუმენტირებული მსჯელობის, საკითხის გაანალიზების, საკუთარი პოზიციის დასაბუთების კარგი უნარი, რაც მეტად დამაჯერებელს ხდის მსჯელობას. კანდიდატს მეტწილად შეუძლია სამართლებრივი პრობლემების იდენტიფიცირება, მათი გადაწყვეტისათვის ნორმატიული საფუძვლების მოძიება, განმარტება და გამოყენება. იგი მსჯელობისას აზრს ავითარებს გასაგებად, თანმიმდევრულად და არგუმენტირებულად. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ კანდიდატის მიერ წარმოდგენილ გადაწყვეტილებებში და სამართლებრივ პუბლიკაციებში მსჯელობა დასაბუთებული, ლოგიკური და თანმიმდევრულ ანალიზზე დაფუძნებული და დამაჯერებელია. გადაწყვეტილებების გაცნობის შედეგად დგინდება, რომ მათი დასაბუთების ხარისხი, როგორც აუცილებელი წინაპირობა, უზრუნველყოფს სამართლიანი სასამართლოს უფლების დაცვას. კანდიდატს აქვს მოსამართლედ მუშაობის ხანგრძლივი - 13 წლიანი გამოცდილება. იგი სამოსამართლო უფლებამოსილებას ახორციელებს სხვადასხვა რაიონულ თუ საქალაქო სასამართლოში: - 2007-2011 წლებში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია; 2008-2009 წლებში მივლინების საფუძველზე მცხეთის რაიონულ სასამართლოში; 2009-2011 წლებში გორის რაიონულ სასამართლოში; 2012-2013 წლებში გორის რაიონული სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე; 2013-2017 წლებში თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე; 2017-2020 წლებში თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსამართლე; 2019 წლის ოქტომბრიდან თანამდებობაზე გამწესებულია უვადოდ, კანონით დადგენილი ასაკის მიღწევამდე; 2020 წლის ივლისიდან არის თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსამართლე. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ეკა ზარნაძე აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მეორე პუნქტი „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-9 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36^4

			მუხლის მე-8 პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენციის“ კრიტერიუმში ეკა ზარნაძე უნდა შეფასდეს 17 (ჩვიდმეტი) ქულით.
წერის უნარი	17	20	კანდიდატის წერის უნარის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატის მიერ წარმოდგენილი გადაწყვეტილებებისა და სამართლებრივი პუბლიკაციის გაცნობით, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების მოსაზრებებით და შედეგად ვასკვნი, რომ ე. ზარნაძე აზრს ნათლად და გასაგებად გადმოსცემს. გადაწყვეტილებებში, ისევე როგორც სამართლებრივ პუბლიკაციებში კარგად ავითარებს მსჯელობას, ყურადღებას ამახვილებს მნიშვნელოვან საკითხებზე, საფუძვლიანად ასაბუთებს დასკვნას. მათში მნიშვნელოვანი გრამატიკული ხასიათის შეცდომები არ გამოვლენილა, თუმცა რაც შეეხება რედაქციულ ნაწილს, ვფიქრობ გადმოცემული აზრი მკითხველისათვის ნაკლებად ტოვებს ადვილად აღქმადის შთაბეჭდილებას. რეკომენდატორების მოსაზრებით კანდიდატი გამოირჩევა აკადემიური წერის მანერით, რაზეც მეტყველებს, როგორც მისი გადაწყვეტილებები, ისე სამეცნიერო ნაშრომები. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ეკა ზარნაძე აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36^3-ე მუხლის მეორე პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-10 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36^4-ე მუხლის მე-8 პუნქტის ,,გ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,წერის უნარის“ კრიტერიუმში ეკა ზარნაძე უნდა შეფასდეს 17 (ჩვიდმეტი). ქულით.
ზეპირი კომუნიკაციის უნარი	15	15	ზეპირი კომუნიკაციის უნარის შეფასებისას ვიხელმძღვანელე საჯარო მოსმენის დროს კანდიდატზე დაკვირვებით და რეკომენდატორების მოსაზრებებით. რეკომენდატორების მოსაზრებით კანდიდატი გამართულად მეტყველებს, მას ასევე გააჩნია სხვისი აზრის, მათ შორის განსხვავებული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. ერთ-ერთი რეკომენდატორი აღნიშნავს, რომ კანდიდატს აქვს აკადემიური ზეპირი მეტყველების უნარი. კანდიდატი საჯარო გამოსვლისას აზრს აყალიბებდა ნათლად, გარკვევით და დამაჯერებლად. მას უდაოდ გააჩნია სხვისი აზრის მოთმინებით მოსმენის

			მაღალი კულტურა, ამავდროულად ღიაობა განსხვავებული აზრის მიმართ და მისი მოსმენის შესაძლებლობა. მისი საუბრის მანერა და ტონი საკმაოდ აკადემიური და კომფორტულია თანამოსაუბრისა თუ მსმენელისათვის. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ეკა ზარნაძე აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3-ე მუხლის მეორე პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-11 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36^4-ე მუხლის მე-8 პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,ზეპირი კომუნიკაციის უნარის" კრიტერიუმში ეკა ზარნაძე უნდა შეფასდეს 15 (თხუთმეტი) ქულით.
პროფესიული თვისებები, მათ შორის, ქცევა სასამართლო დარბაზში	14	15	კანდიდატის პროფესიული თვისებებისა და მათ შორის სასამართლო დარბაზში ქცევის შეფასებისას ვიხელმძღვანელე რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებით, სასამართლოდან მიღებული და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული სტატისტიკური მონაცემებით. ამ მონაცემების, ასევე საჯარო მოსმენისას მიღებული ინფორმაციის გაცნობისა და ანალიზის შედეგად შემიძლია დავასკვნა, რომ რომ ეკა ზარნაძე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას არის პუნქტუალური, აქვს საქმის ჯეროვნად და პასუხისმგებლობით მომზადების კარგი უნარი, შრომისმოყვარე, გულმოდგინე, დისციპლინირებული პიროვნებაა. მას შესწევს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღებისა და დამოუკიდებელი აზროვნების უნარი. კანდიდატს აქვს საქმის სათანადოდ დაგეგმვის, პრიორიტეტის სწორად განსაზღვრის, დროის რესურსის სწორად განაწილების, სასამართლო პროცესის ეფექტურად მართვის, სასამართლო სხდომების კორექტულად და დამაჯერებლად წარმართვის, ვითარების განმუხტვისა და განეიტრალების უნარი. რეკომენდატორები უთითებენ კანდიდატი არის შრომისმოყვარე, პუნქტუალური, მიზანდასახული პიროვნება. დამაჯერებლად წარმართავს სასამართლო სხდომებს. სამოსამართლო საქმიანობას ასევე კარგად უთავსებს პედაგოგიურ საქმიანობას. უნდა აღინიშნოს, რომ კანდიდატის მიერ განხილული საქმეები მომზადებულია ჯეროვნად. სასამართლოდან მიღებული და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სასამართლო მენეჯმენტის დეპარტამენტის მიერ დამუშავებული

			სტატისტიკური მონაცემებიდან ირკვევა, რომ კანდიდატს საანგარიშო პერიოდში საპროცესო ვადების დაცვით მომზადებული აქვს საქმეთა - 95,5% ხოლო ვადის დარღვევით 4,5% ამავე პერიოდში, გადაწყვეტილებათა 100% მომზადდა ვადის დაცვით; გასაჩივრებულ გადაწყვეტილებათა სტაბილურობის კუთხით, გადაწყვეტილება უცვლელი დარჩა გასაჩივრებულ საქმეთა 96,2%, ხოლო შეიცვალა 23,8%. საანგარიშო პერიოდში (958 დღე) მოსამართლეს დასრულებული აქვს 842 საქმე, დღეში საშუალოდ 1 საქმემდე. შეიძლება ითქვას, რომ კანდიდატს გააჩნია სტრესულ სიტუაციაში მუშაობის კარგად გამომუშავებული უნარი, მიზანდასახულია, საქმის მომზადების, განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადებისას ძირითადად პროდუქტიული და სწრაფია, რაც შესაბამისად ვლინდება საქმის განხილვის დადგენილი ვადების დაცვაში, რაც ასევე კანდიდატის შესაბამის მენეჯერულ თვისებებზე მეტყველებს. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ეკა ზარნაძე აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3-ე მუხლის მეორე პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-12 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36^4-ე მუხლის მე-8 პუნქტის ,,ე" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,პროფესიული თვისებები, მათ შორის ქცევა სასამართლო დარბაზში" კრიტერიუმში ეკა ზარნაძე უნდა შეფასდეს 14 (თოთხმეტი) ქულით.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	5	5	აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატზე არსებული ინფორმაციის გაცნობით და ასევე გასაუბრების პროცესში მასზე დაკვირვებით. ე.ზარნაძეს ჩაბარებული აქვს მოსამართლეობის საკვალიფიკაციო გამოცდა, სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით. კანდიდატი არის სამართლის დოქტორი, აქვს იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხი. იგი ასევე ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას: თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე (ასოცირებული პროფესორი, მოწვეული ლექტორი), საქართველოს უნივერსიტეტში (ასოცირებული პროფესორი), ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში (ასოცირებული პროფესორი, პროფესორი), იუსტიციის უმაღლეს სკოლაში. კანდიდატი ასევე არის სამართებივით სტატიებისა და წიგნების

			ავტორი/თანაავტორი. წარმოდგენილი ინფორმაციისა და კანდიდატთან გასაუბრების პროცესზე დაკვირვებით დგინდება, რომ ის არის შრომისმოყვარე და ღია სიახლეების მიმართ, ავლენს თვითგანვითარების ძლიერ უნარს, ახალი ცოდნისა და უნარების შეძენის ინტერესს და ახდენს მათ პრაქტიკაში რეალიზებას, რაც დასტურდება მისი ხშირი მონაწილეობით სხვადასხვა პროფესიული წვრთნის პროგრამებში და ასევე, მის მიერ განხილულ საქმეთა და სამართლებრივი პუბლიკაციების გაცნობისა და ანალიზის შედეგად. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ეკა ზარნაძე აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მეორე პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-13 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ვ“ ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნის“ კრიტერიუმში ეკა ზარნაძე უნდა შეფასდეს 5 (ხუთი) ქულით.
პროფესიული აქტივობა	**5**	**5**	პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას ვიხელმძღვანელე კანდიდატზე არსებული ინფორმაციის გაცნობით და ასევე გასაუბრების პროცესში მასზე დაკვირვებით. კანდიდატს სამართლებრივი სისტემისა და მართლმსაჯულების საკითხებზე გამართულ არაერთ ღონისძიებაში აქვს მონაწილეობა მიღებული, შემდეგ თემებზე, სემინარები: ბავშვთა უფლებები, სამოსამართლო ქცევა და ეთიკა, მოწმისა და დაზარალებულის უფლებები და მათი დაცვის სამართლებრივი გარანტიები, არასრულწლოვანთა მართლმსაჯულება, სასამართლო პროცესზე კომუნიკაციის სტანდარტები, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცვლილებები, ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, პირველი ინსტანციის სასამართლოს სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილების წერის ტექნიკა, ლიზინგი სამართლებრივ ასპექტში, საქმის წარმოების პროგრამა, სამოქალაქო და ადმინისტრაციული გადაწყვეტილების აღსრულება, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის ცვლილებები, კრედიტის უზრუნველყოფა, საავტორო და სავაჭრო სამართალი, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის პრობლემატური საკითხები,

			გადახდისუუნარობა, მტკიცებულებათა შეფასება სამოქალაქო პროცესში, სამუშაო ტექნიკა სამოქალაქო პროცესში, გადაწყვეტილების ჩამოყალიბება, აგებულება, დასაბუთება და სხვა. კანდიდატი არაერთი სამართლებრივი სტატიის, წიგნის ავტორი და თანაავტორია, როგორებიცაა: -„ფასიანი ქაღალდების ცნება და კლასიფიკაცია“, პროფესორ ზურაბ ახვლედიანის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებული. რედ. რომან შენგელია, 2004 წ. - „მეუღლეთა მიერ ქორწინების განმავლობაში შეძენილი უძრავი ქონების მართვისა და განკარგვის საკითხებზე სასამართლო დავების გადაწყვეტის ზოგიერთი თავისებურება“, ჟურნალი ქართული სამართლის მიმოხილვა - Georgian Law Review, 10N1, 2007 წ. - „საორდერო ფასიანი ქაღალდი და მისი სამართლებრივი მოწესრიგების ძირითადი ასპექტები“, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, N11, 2011 წ. - „ფასიანი ქაღალდების ნომინალური მფლობელობის ინსტიტუტის ნორმათა უნიფიცირება და ჟენევის კონვენცია ფასიანი ქაღალდების შესახებ“, ბესარიონ ზოიძე 60 - საიუბილეო კრებული/ რედ. ლადო ჭანტურია, ირაკლი ბურდული; თბილისი, 2014 წ. - „მემკვიდრეობის სამართალი“. - „სასამართლო პრაქტიკის კომენტარი სამოქალაქო და საკორპორაციო სამართალში“. რედაქტორი: გიორგი ხუბუა, თანაავტორები: ლალი ლაზარაშვილი, თენგიზ ლილუაშვილი, პაატა ლობჟანიძე, 2003 წ. - „სავარჯიშოები სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილსა და სანივთო სამართალში“. თანაავტორები: ბესარიონ ზოიძე, ლადო ჭანტურია, თამარ ზარანდია, ლალი ლაზარაშვილი, თამარ ლაკერბაია, ქეთევან ქოჩაშვილი, სერგი ჯორბენაძე; თბილისი, 2014 წ. - კანდიდატის აღნიშნავს, რომ გამოცემისათვის მომზადების პროცესშია „საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი“, სადაც ის არის ავტორი 911-929-ე მუხლების კომენტარებისა. ასევე კანდიდატის მიერ განაცხადში მითითებულია, რომ 2005-2008 წლებში იყო ჟურნალ ქართული სამართლის მიმოხილვის - Georgian Law Review - სარედაქციო კოლეგიის წევრი. აღნიშნულზე დაყრდნობით დასტურდება, რომ კანდიდატს შეუძლია ღიად და თავისუფლად გამოხატოს თავისი პოზიცია და შეხედულებები სხვადასხვა სამართლებრივ საკითხებთან დაკავშირებით, გამოიჩინოს ინიციატივები და წარმოადგინოს თავისი იდეები და წინადადებები. საგულისხმოა, რომ კანდიდატის პროფესიული აქტივობა არ წარმოადგენს

			ხელშემშლელ ფაქტორს მისი სამოსამართლო საქმიანობისათვის, რაც დასტურდება ზემოთ მოყვანილ მონაცემებში- საქმეთა მომზადების, განხილვისა და გადაწყვეტილების მომზადებისას დადგენილი ვადების დაცვის მაჩვენებლებში. ამდენად მივიჩნევ, რომ კანდიდატი ეკა ზარნაძე აკმაყოფილებს ,,საერთო სასამართლოების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის 36^3 მუხლის მეორე პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული კრიტერიუმის მახასიათებელს და ამავე მუხლის მე-14 პუნქტით განსაზღვრულ კომპონენტებს და შესაბამისად 36^4 მუხლის მე-8 პუნქტის ,,ზ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საბოლოოდ ,,პროფესიული აქტივობის" კრიტერიუმში ეკა ზარნაძე უნდა შეფასდეს 5 (ხუთი) ქულით.
ქულათა ჯამი	89	100	

სახელი, გვარი: ზაზა ხარებავა

ხელმოწერა:

თარიღი : 27.05.2021 წ.